განკარგულება:**g-81.81221874**
თარიღი:**06/07/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №34

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ბულდოზერი კატეპილარი D8R-ის (ყვითელი ფერი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი EB-230 საბალანსო ღირებულება 720 000 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით (უსასყიდლო უზუფრუქტი) სარგებლობის უფლებით შ.პ.ს. ,,მანქანა -ტრაქტორთა პარკის"-თვის (დირექტორი დ. ქარსელაძე) გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლების გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ბულდოზერი კატეპილარი D8R-ის (ყვითელი ფერი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი EB-230, საბალანსო ღირებულება 720 000 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) მუნიციპალიტეტის მიერ 100% წილით დაფუძნებული საწარმოსთვის შ.პ.ს ,,მანქანა-ტრაქტორტთა" პარკისთვის გადაცემაზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი